სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080177550219622

№ 3977

07 / დეკემბერი / 2022 წ.

შპს „იჯ ჩემისთრის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“;

ტენდერის ნომერი: NAT220014367;

შესყიდვის ობიექტი: 38400000 – ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოები;

პრეტენდენტი: შპს „იჯ ჩემისთრი“ (ს/ნ: 426529535);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 7 და 20 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“2022 წლის 7 ოქტომბრის № 21/5979 წერილობითი შეტყობინება და 2022 წლის 19 ოქტომბრის №21/6234 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №7651 და №8008), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა NAT220014367 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის - შპს „იჯ ჩემისთრის“ (ს/ნ: 426529535) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. სააგენტომ შპს „იჯ ჩემისთრის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის inanc@sedirkimya.com მეშვეობით, 2022 წლის 21 ოქტომბრის № 3492 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. პრეტენდენტმა სააგენტოში 2022 წლის 31 ოქტომბერს წარმოადგინა 2022 წლის 28 ოქტომბრის განმარტება (რეგისტრაციის № 8348) NAT220014367 ელექტრონული ტენდერიდან დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, NAT220014367 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტმა დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის სახით, სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1. პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, წარადგინა Sterlitech Corporation-ის მიერ გაცემული კატალოგი. შემსყიდველმა ორგანიზაციამ აღნიშნული კატალოგის გადამოწმების მიზნით მიმართა Sterlitech Corporation-ს, რომელმაც 2022 წლის 23 სექტემბრის ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ კატალოგი არ იყო გაცემული Sterlitech Corporation-ის მიერ. მოცემული გარემოების გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ 2022 წლის 6 ოქტომბრის № 9 სხდომის ოქმით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“

ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „იჯ ჩემისთრის“ მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

3. პრეტენდენტის პოზიცია

პრეტენდენტი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებას და განმარტავს, მან შემსყიდველ ორგანიზაციას სრულად მიაწოდა ინფორმაცია მწარმოებელი კომპანიის შესახებ, მათ შორის, ინვოისები და კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია, მიუხედავად ამისა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ დისკვალიფიკაცია მისცა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ტენდერში წარდგენილ კატალოგზე მწარმოებელმა გასცა წერილობითი ინფორმაცია, რომ კატალოგი არ იყო მის მიერ დამზადებული. პრეტენდენტი განმარტავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1. პუნქტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ ვებგვერდის ლინკის წარდგენაც საკმარისი იყო, ხოლო მის მიერ მწარმოებლის ვებგვერდის ლინკში მითითებული ინფორმაცია და კატალოგი იყო იდენტური და მას დოკუმენტის გაყალბება არ სჭირდებოდა ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულის სტატუსის მოსაპოვებლად. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ ფასების ცხრილის მე-5 პოზიციაზე მითითებული ჰქონდა კატალოგის ნომერი PTU024750, ხოლო კატალოგში მითითებული იყო – PTU104750. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმწოდებელი განმარტავს, რომ მან ელექტრონულ ტენდერში ატვირთა პირდაპირ ან მესამე პირებისგან მიღებული დოკუმენტები და მას რომ არაკეთილსინდისიერი ქმედება ჩაედინა მაშინ კატალოგშიც იმავე ნომერს მიუთითებდა, რაც ფასების ცხრილის მე-5 პოზიციაზე ჰქონდა მითითებული. ასევე, პრეტენდენტმა შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინა Sterlitech Corporation-თან განხორციელებული მიმოწერა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 22 ივლისს სსიპ „გარემოს ეროვნულმა სააგენტომ“ გამოაცხადა NAT220014367 ელექტრონული ტენდერი ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოების (CPV38400000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT220014367 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო შპს „იჯ ჩემისთრიმ“ (ს/ნ: 426529535).

4.3. შპს „იჯ ჩემისთრიმ“ 2022 წლის 15 სექტემბერს NAT220014367 ელექტრონულ ტენდერში დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის სახით, სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1. პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, წარადგინა Sterlitech Corporation-ის მიერ გაცემული კატალოგი.

4.4. კატალოგის გამცემი კომპანიის (Sterlitech Corporation) 2022 წლის 23 სექტემბრის ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ კატალოგი არ იყო გაცემული Sterlitech Corporation-ის მიერ.

4.5. ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ 2022 წლის 6 ოქტომბრის № 9 სხდომის ოქმით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „იჯ ჩემისთრის“ მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

4.6. სატენდერო კომისიის 2022 წლის 6 ოქტომბრის № 9 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება პრეტენდენტმა – შპს „იჯ ჩემისთრიმ“ 2022 წლის 11 ოქტომბერს გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში (საჩივრის DIS220014367_01(NAT)).

4.7. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2022 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „იჯ ჩემისთრის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

4.8. დავების განხილვის საბჭომ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

– Sterlitech Corporation-ის წარმომადგენელმა 2022 წლის 23 სექტემბრის ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით უარყო პრეტენდენტის მიერ წარდგენილი კატალოგის Sterlitech Corporation-ის მიერ გაცემის ფაქტი, ამასთან, აღნიშნულის საპირისპიროდ, შპს „იჯ ჩემისთრის“ არ წარუდგენია შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდებოდა მის მიერ წარდგენილი კატალოგის ავთენტურობა;

– პრეტენდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტში მწარმოებლის ვებგვერდზე მოცემული მონაცემების შესაბამისი/იდენტური ინფორმაციის არსებობა ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს უშუალოდ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტის ავთენტურობას. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტში არ არის მითითებული შესყიდვის ობიექტის შესახებ ცრუ ინფორმაცია, ვერ გახდებოდა დოკუმენტის ავთენტურობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „იჯ ჩემისთრი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მას არ წარუდგენია მცდარი ინფორმაცია, რაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა პრეტენდენტს, ხოლო აფიდავიტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, იგი მიიღებს დისკვალიფიკაციას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.5. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ პრეტენდენტმა NAT220014367 ელექტრონულ ტენდერში წარადგინა Sterlitech Corporation-ის მიერ გაცემული კატალოგი, ხოლო ამავე კომპანიის 2022 წლის 23 სექტემბრის ელექტრონული ფოსტის შეტყობინებით ასევე ირკვევა, რომ კატალოგი არ იყო გაცემული Sterlitech Corporation-ის მიერ. საგულისხმოა, რომ არც პრეტენდენტს უარუყვია მოცემული გარემოება თავის პოზიციაში. ამასთან, არც პრეტენდენტსა და Sterlitech Corporation-ს შორის განხორციელებული, მიმოწერით დასტურდება, რომ Sterlitech Corporation-მა პრეტენდნეტს გადაუგზავნა კატალოგი. ასევე, საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი და პრეტენდნეტს არც ადმინსიტრაციული წარმოების პროცესში წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულება/ინფორმაცია, რომლითაც დადასტურდებოდა მის მიერ NAT220014367 ელექტრონულ ტენდერში წარდგენილი კატალოგის ავთენტურობა. ამდენად, სახეზეა აფიდავიტის პირობების დარღვევა და NAT220014367 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩადენილ იქნა არაკეთილსინდისიერი ქმედება, რის გამოც არსებობს შპს „იჯ ჩემისთრის“ შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან დგინდება, რომ შპს „იჯ ჩემისთრიმ“ (ს/ნ: 426529535) NAT220014367 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, შპს „იჯ ჩემისთრი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „იჯ ჩემისთრი“ (ს/ნ: 426529535) 2022 წლის 8 დეკემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე